ხელშეკრულება №41 USB/AG-02/02/14

საჰაერო ხომალდით
ჩარტერული ავიარეისების შესრულების შესახებ

ქ.თბილისი „07" თებერვალი 2014 წ.

შ.პ.ს. "ავიაკომპანია თუშეთი", შემდგომში წოდებული შემსრულებელი, მისი დირექტორის ზაურ ქორთოშიძის სახით, ერთის მხრივ და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, შემდგომში წოდებული „დამკვეთი", მისი თავმჯდომარის ცარო საძაგლიშვილის სახით, მეორეს მხრივ მოქმედებენ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ხოლო დამკვეთი დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის 2014 წლის 7 თებერვლის განკარგულება №6 საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გადაუდებელი აუცილებლობის გამო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის, „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ", მუხლი 43-ე, მესამე პუნქტის, „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე შემსრულებელს უკვეთავენ თავისი კუთვნილი საჰაერო ხომალდით ავიარეისის განხორციელებას ავიარეისს რომლის დეტალები და მარშუტი განისაზღვრება ამ ხელშეკრულების დანართებით.

1.2. დამკვეთისათვის სასურველი მიმართულებით ფრენის მარშრუტები და ფრენის ღირებულება განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით დამკვეთის მიერ მიწოდებული წერილობით განაცხადის საფუძველზე.

2. მხარეთა უფლება მოვალეობები

2.1. დამკვეთი ვალდებულია:

2.1.1. დროულად, ხელშეკრულების პირების შესაბამისად აანაზღაუროს ჩარტერული რეისის ღირებულება

2.1.2. აცნობოს შემსრულებელს შესასრულებელი რეისის სასურველი დრო და მარშრუტი,

2.1.3. უზრუნველყოს მგზავრების მიყვანა აეროპორტში (ან საფრენ მოედანზე) არაუგვიანეს ნახევარი საათისა რეისის გაფრენის დრომდე.

2.1.4. უზრუნველყოს საშიში ტვირთის (სწრაფაალებადი სითხე საჰაერო ხომალდით ტრანსპორტირებისათვის აკრძალული ნივთიერებები, საწვავი და ა.შ.) გაფორმება, შეფუთვა, საჭირო დოკუმენტაციის წარმოება და ტვირთის მიწოდება ლიცენზირებული ორგანიზაციების (ხაწყობის) მეშვეობით. აანაზღაუროს ნებისმიერი ხარჯი, რაც წარმოიშვა მისი ქმედებით, კერძოდ და არა მხოლოდ: რეისის გაფრენის შეფერხება, შეჩერება, შეწყვეტა, მარშრუტის შეცვლა გამოწვეული მგზავრების რეისზე დაგვიანებით, გამოუცხადებლობით, გასამგზავრებელი საბუთების უქონლობით, რეისზე არაფხიზელი მდგომარობაში გამოცხადდებით.

2.1.5. აანაზღაუროს ნებისმიერი ხარჯი, რაც წარმოიშვა საჰაერო ხომალდის ფრენის შეწყვეტის, მარშუტის შეცვლის ანდა შეჩერების გამო, რაც გამოწვეული იყო საჰაერო ხომალდის ბორტზე დამკვეთის მგზავრის ან მგზავრთა ჯგუფის მხრიდან არასათანადო ქცევითა და მოქმედებებით.

2.1.6. აანაზღაუროს ნებისმიერ ზიანი, რაც გამოწვეული იყო დამკვეთის მხრიდან ტვირთის (ბარგის) განცხადებული წონასა და ფაქტიურ მასასთან შეუსაბამისობამობით. (საავიაციო შემთხვევა, ინციდენტი და ა.შ.),

2.1.7. აუნაზღაუროს მეტეო პირობების ან ეკიპაჟისაგან სხვა დამოუკიდებელი მიზეზების გამო საჰაერო ხომალდის სათადარიგო აეროდრომზე (ან ასაფრენ-დასაფრენ მოედანზე) წასვლის შემთხვევაში შექმნილი ხარჯები, მათ შორის ეკიპაჟის წევრთა განთავსება სასტუმროში (არა ნაკლებ სამ ვარსკვლავიანისა) ასეთის არსებობის შემთხვევაში, სამჯერადი კვება და ტრანსპორტირება. გადაწყვეტილებას სათადარიგო აეროდრომზე (ან ასაფრენ-დასაფრენ მოედანზე) საჰაერო ხომალდის დაფრენის თაობაზე ერთპიროვნულად იღებს საჰაერო ხომალდის მეთაური, რათა დაიცვას საჰაერო ხომალდი, ეკიპაჟის წევრები და მგზავრები, ყოველგვარი საფრთხისაგან, რაც შეიძლება გამოწვეული იქნეს საწყის მარშრუტის გაგრძელებით.

2.1.8. თუკი გამომგზავრების აეროპორტიდან (ასაფრენ-დასაფრენ მოედნიდან) საჰაერო ხომალდის გამოფრენის დაგვიანება მოხდა დამკვეთის მიზეზით ყველა ხარჯს აანაზღაურებს დამკვეთი, მათ შორის ეკიპაჟისა და მგზავრების განთავსება სასტუმროში (არა ნაკლებ სამ ვარსკვლავიანისა) ასეთის არსებობის შემთხვევაში, სამჯერადი კვება და ტრანსპორტირება.

2.1.9. რეისის განხორციელებამდე აცნობოს შემსრულებელს მგზავრთა საერთო რაოდენობა, მათი დემოგრაფიული მონაცემები.

2.1.10. აუნაზღაუროს შემსრულებელს რეისის გაუქმებით ან გადადებით გამოწვეული პირდაპირი ზიანი.

2.2. დამკვეთი უფლებამოსილია:

2.1.1. უარი განაცხადოს რეისის შესრულებაზე. ამ შემთხვევაში დამკვეთი აუნაზღაურებს შემსრულებელს რეისის გაუქმებით გამოწვეულ ფაქტიურ ხარჯებს.

2.3. შემსრულებელი ვალდებულია:

2.3.1 გამოყოს შესაბამისი შესაძლებლობის არესბობის შემთხვევაში, რეისის შესასრლებლად ტექნიკურად გამართული საჰაერო ხომალდი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს აღნიშნული ტიპის საჰაერო ხომალდისათვის საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ხელისუფლების მიერ დაწესებული ყველა ტექნიკურ და კომერციულ მოთხოვნას.

2.3.2 უზრნველყოს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ხელისუფლების, საერთაშორისო საჰაერო გადაყვან-გადაზიდვების და ავიაკომპანიის წესების დაცვა.

2.3.3 საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოს მგზავრების, ბარგის და ტვირთის მესაკუთრეების მესამე პირების წინაშე საჰაერო ხომალდით რეისების შესრულებასთან დაკავშირებული სადაზღვეო პასუხიმგებლობით;

2.4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

2.4.1. მოსთხოვოს დამკვეთს ხელშეკრულების შეცვლა ან შეწყვეტა მიყენებული ზიანის ანაზღაურებით, დამკვეთის მიერ მოცემული ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

2.4.2. უარი განაცხადოს ავიარეისის შესრულებაზე.

3. ანგარიშწორების წესი

3.1. ფრენის მარშრუტი, ღირებულება და ანგარისსწორების წესი განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით;

4. მხრეთა პასუხისმგებლობა

4.1. მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებაზე ან მათ არაჯეროვნად შესრულებაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,

4.2. დამკვეთი ანთავისუფლებს შემსრულებელს პასუხისმგებლობისაგან მგზავრების წინაშე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მისგან დამოუკიდებლი მიზეზების გამო,

5. ფორს მაჟორი

5.1. მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია მდგომარეობით, რომელთა გათვალისწინება და გადალახვა გონიერი მეთოდებით შეუძლებელია (გადაულახავია ფორს-მაჟორული მდგომარეობით), როგორიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ქარიშხალი, დიდთოვლობა, ტემპერატურეს მკვეთრი ცვლილება, სამხედრო მოქმედებები, ეპიდემიები, გაფიცვები, სამთავრობო ორგანოების გადაწყვეტილებები შეზღუდვებზე, მთავრობათა გადადგომები ბლოკადა, საკანონმდებლო აქტებში ცვლილებები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას მხარეთა ნაკისრ ვალდებულებების შესრულებაზე;

5.2. მხარე, რომლისათვისაც შეიქმნა ფორსმაჟორული გარემოება ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს ზემოაღნიშნული გარემოების წარმოშობის, სახის და მოქმედების ხანგრძლიობის შესახებ.

6. დავის გადაწყვეტის წესი

6.1. თუ სადავო საკითხი არ იქნება მოგვარებული მხარეთა მიერ, მაშინ ის გადაეცმა თბილისის საარბიტრაჟო პალატა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეები შეეცდებიან გადაწყვიტონ ყველა დავა, რომელიც მხარეთა შორის აღიძვრება წინამდებარე ხელშეკრულების შედეგად ან მისი დებულებების განმარტებისა და გამოყენების გამო, მოლაპარაკების გზით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სხვა პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულებამდე და მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებამდე;

7.2. ხელშეკრულება ავტომაურად გრძელდება ერთი წლის ვადით თუკი არცერთი მხარე წერილობით ფორმით არ გამოთქვამს სურვილს ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 30 კალენდარული დღით ადრე მის შეწყვეტაზე.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულება მიუხედავად ვადის გასვლისას ან სხვაგვარად მისი მოქმედების შეწყვეტისას, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებიების შესრულების

მოვალეობა მხარეებს ეკისრება თუკი მხარეებს შორის არ შედგა საბოლოო ანგარიშგება და არ შედგა ურთიერთ ანგარიშწორების აქტი,

7.4. წინამდებარე ხელშეკრულება ადგენს მხარეთა ძირითად უფლება-მოვალეობებს.

7.5. დანართები, რომლითაც განისაზღვრება დამკვეთისათვის სასურველი ფრენის მარშრუტი და ღირებულება წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილას;

7.6. ყველა ცვლილებები და დამატებები ხელშეკრულებაში უნდა შედგეს წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი უნდა იქნეს მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენელების მიერ,

7.7. ხელშეკრულება იდება ორ თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე.

8. მხრეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

შემსრულებელი:
შ.პ.ს. ავიაკომპანია „თუშეთი"
მისამართი: საქართველო, აეროპორტის დასახლება, დავითაველის ქუჩა №4
ტელეფონი: (+995 32) 240 07 03
საბანკო რეკვიზიტები: სს "ბაზისბანკი"
ბანკის კოდი: CBASGE22,
ანგარიშის ნომერი (ლარი)
GE80BS0000000000236373,

დამკვეთი:
დუშეთის მუნიციპალიტეტი
მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. № 27,
საბანკო რეკვიზიტები: „ლიბერთი ბანკი"-ს დუშეთის ფილიალი,
ბანკის კოდი: LBRTGE22,
ანგარიშის ნომერი (ლარი)
GE74LB0120137474229000,

შ.პ.ს. ავიაკომპანია „თუშეთი"
დირექტორი

_____ ზაურ ქორთოშიძე

„07" თებერვალი 2014 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე

_____ ცარო ხაძაგლიშვილი

„07" თებერვალი 2014 წ.

დანართი № 1

ხელშეკრულება № 41 USB/AG-02/02/14

საჰაერო ხომალდით
ჩარტერული ავიარეისების შესრულების
ხელშეკრულება №41USB/AG-02/02/14 - ზე

თბილისი „07“ თებერვალი 2014 წ.

1. ფრენის შესრულება განხორციელდება MI-8 MTV ტიპის საჰაერო ხომალდით.
2. შემსრულებლის საჰაერო ხომალდით ერთი საათი ფრენის ღირებულება შეადგენს 3800 (სამიათასრვაას) ა.შ.შ. დოლარს დ.ღგ.-ს ჩათვლით
3. შემსრულებლის მიერ დამკვეთის მიერ დათქმულ პერიოდში შესრულებული რეისის თბილისი-შატილი-ხონე-თბილისი ფრენის საანგარიშო (საორიენტაციო) საერთო ხანგრძლივობა შეადგენს 2 საათს;
4. სულ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი რეისის ღირებულება საანგარიშო (საორიენტაციო) ფრენა-საათების შესაბამისად შეადგენს 7600 (შვიდიათასექვსასი) აშშ დოლარს დღგ-ს ჩათვლით
5. შესასრულებელი თარიღი 09 თებერვალი, გაფრენის დრო გუდაურიდან 10 საათი;
6. რეისის შესრულების შემდგომ დგინდდება შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, ფაქტობრივად ნაფრენი და სხვა ავიარეისის შესრულებასთან დაკავშირებულ დეტალები.
7. ანგარიშფაქტურის მიღებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში დამკვეთი ვალდებულია დაფაროს ანგარიშ-ფაქტურით გათვალისწინებული დავალიანება.
8. მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული რეისი რაიმე მიზეზით (საფრენად არსათანადო მეტეო, ტექნიკური პირობები და ა.შ.) არ შესრულების და დამკვეთის მხრიდან ამ საბაბით რეისის სხვა პერიოდზე გადატანაზე უარის განაცხადის შემთხვევაში, წინამდებარე დანართი ავტომატურად ითვლება გაუქმებულად.
9. გადახდა შეიძლება იყოს შესრულებული უნაღდო ანგარიშსწორებით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადახდა იწარმოებს ლარებში მომსახურების გაწევის დღისათვის მიმდინარე ბანკთაშორის საბირჟო კურსის შესაბამისად.
10. წიანამდებარე დანართი ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან, იგი არის ხელშეკრულება **№USB/AG-02/02/14** განუყოფელი ნაწილი და მოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მხარეები

„შემსრულებელი“: „დამკვეთი“

შ.პ.ს. ავიაკომპანია „თუშეთი“
დირექტორი
_____ ხაჭო ქორთოშიძე
„07“ თებერვალი 2014 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე
_____ ცირო ხაძაგლიშვილი
„07“ თებერვალი 2014 წ.

მიღებაჩაბარებისაქტი № 1

ქთბილისი„10“ თებერვალი 2014 წ.

შ.პ.ს. “ავიაკომპანიათუშეთი“, შემდგომშიწოდებულიშემსრულებელი, მისიდირექტორისზაურქორთოშიძისსახით, ერთისმხრივდა დუშეთისმუნიციპალიტეტისსაკრებულო, შემდგომშიწოდებული „დამკვეთი“, მისითავმჯდომარისსახით, მეორესმხრივ, მოქმედებენრასაქართველოსკანონმდებლობისსაფუძველზე, ხოლოდამკვეთიდუშეთისმუნიციპალიტეტისსაკრებულოსთავჯდომარის 2014 წლის 07თებერვლის განკარგულება №6 საფუძველზე დებენ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე:

წინამდებარემიღებაჩაბარებისაქტისსაფუძველზემხარეებითანხმდებიან, რომ დამკვეთმამიღო, ხოლოშემსრულებელმაგაუწიახელშეკრულება №41 USB/AG-02/02/13 -ითგანსაზღვეულიშემდეგიმომსახურება:

მიმდინარეწლის09 თებერვალსფრენაგანხორციელდა თბილისი-შატილი-ხონე-თბილისი, მიმართულებითდა საერთო ნაფრენმა შეადგინა 1საათი და 35წუთი, საერთოღირებულებით10523.15 (ათიათასხუთასოცდასამიმთელითხუთმეტიმეასედი)ლარიდ.ღ.გ.-ს ჩათვლით

შ.პ.ს. ავიაკომპანია „თუშეთი“	დუშეთისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს
დირექტორი	თავჯდომარე
_____ ზაურ ქორთოშიძე	_____ ცარო სიძაგლისშვილი
„10“ თებერვალი 2014 წ.	„10“ თებერვალი 2014 წ.